

# პირველი ბავშვთა ჰოსპისი საქართველოში



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION  
ფონდი ოპენ საზოგადოება საქართველო



ანგარიში N1

მაისი, 2016



# პირველი ბავშვთა ჰოსპისი საქართველოში

მაისი, 2016

## პირველი ბავშვთა ჰოსპისის საქართველოში

2016 წლის თებერვალში, საქართველოში პირველი ბავშვთა ჰოსპისის მშენებლობა დაიწყო. ბავშვთა ჰოსპისის გახსნა, თბილისში, სოფელ დილომში, წლის ბოლოსთვის იგეგმება.

ბავშვთა ჰოსპისი ეს არის სახლი, სადაც ქრონიკული დაავადების მქონე 0-18 წლამდე ბავშვები სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდს ატარებენ. განუკურნებელი დაავადების დიაგნოზის დასმის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია პალიატიური მზრუნველობის დაწყება. პალიატიური მზრუნველობის დროს აქცენტი გადატანილია არა მკურნალობაზე, არამედ განუკურნებელი დაავადებით გამოწვეული ტკივილის მოხსნაზე, დისკომფორტის შემსუბუქებაზე, ფსიქოლოგიურ მხარდაჭერაზე, სულიერ თანადგომაზე, პაციენტის სურვილების შესრულებაზე და ა.შ. პალიატიური მზრუნველობა მნიშვნელოვნად ვერ გაახანგრძლივებს სიცოცხლეს, მაგრამ ის სრულიად ცვლის პაციენტის და მისი ოჯახის მდგომარეობას, რადგან აუმჯობესებს ცხოვრების ხარისხს.

ის ბავშვები, რომელთა სიცოცხლის ხანგრძლივობამ შესაძლოა ნ თვეზე მეტ ხანს ვერ გასტანოს, პალიატიური მზრუნველობის მომსახურებას ე.წ. ჰოსპისში იღებენ. ჰოსპისის უმთავრესი პირობა ოჯახური ტიპის გარემოს შექმნაა, რომელიც არ უნდა მოგვაგონებდეს საავადმყოფოს. ბავშვთა ჰოსპისის კონცეფცია გულისხმობს ბავშვისთვის მეგობრული გარემოს შექმნას, სადაც მზრუნველი პერსონალის გარდა დიდი დატვირთვა აქვს გარემოს, ინტერიერს, ჰოსპისის სახელწოდებას და ყველა იმ დეტალს, რაც უზრუნველყოფს ბავშვის და მისი ოჯახის წევრების კომფორტულ მდგომარეობას მძიმე დაავადების პირობებშიც კი. მსოფლიოში ბავშვთა ჰოსპისების ბევრი წარმატებული მაგალითი არსებობს. ამ მხრივ, დიდი გამოცდილების მქონე ქვეყნებია ბრიტანეთი, ჰოლანდია, გერმანია, აშშ და რუმინეთი. არის ჰოსპისები, რომლებიც რომელიმე ლიტერატურული პერსონაჟის სახლს ან წარმოსახვით სამყაროს მოგაგონებთ.

ბავშვთა ჰოსპისი საქართველოში დღემდე არ არსებობდა და მის შექმნას ახლა ეყრება საფუძველი. 2013 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში, ყოველწლიურად 839 ბავშვს ესაჭიროება პალიატიური მზრუნველობა.

2014 წლიდან, ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველოს“ მხარდაჭერით, შინ ზრუნვის გუნდი შეიქმნა და თვეში 25 ბავშვს უფასოდ უწევს პალიატიურ მომსახურებას. შინ ზრუნვის გუნდს ოფისი უსასყიდლოდ გამოუყო სამედიცინო კორპორაცია „ვეექსმა“. ბინაზე მომსახურება ჰოსპისის გახსნის შემდეგაც გაგრძელდება.

# შინ ზრუნვა პალიატიური მზრუნველობის ბავშვებისთვის



## შინ ზრუნვის/ბავშვთა ჰოსპისის გუნდი

ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ მხარდაჭერით, ორგანიზაცია ააიპ „ბავშვთა ჰოსპისი“, საქართველოში პირველად ახორციელებს შინ ზრუნვას 0-18 წლამდე პალიატიური მზრუნველობის საჭიროების მქონე ბავშვებისთვის. **სერვისი უფასოა!**

**როგორ ვახორციელებთ ამ სერვისს:**

რეკავთ ცხელ ხაზზე: **570 707 757**

1. ცხელი ხაზის ოპერატორი (რომელიც შინ ზრუნვის ოფისში ზის) ინერს დეტალურ ინფორმაციას და აწვდის შინ ზრუნვის გუნდს;
2. შინ ზრუნვის გუნდი განიხილავს ბავშვის მონაცემებს და არკვევს არის თუ არა მათი პაციენტი;
3. გუნდი შინ ზრუნვის მანქანით მიდის ბავშვთან სახლში. სინჯავს ბავშვს, ამყარებს კომუნიკაციას, ესაუბრება მშობლებს და ინყებს ბავშვზე ზრუნვას.

## ჩვენი გუნდი:

ბავშვთა ჰოსპისის შინ ზრუნვის გუნდში გაერთიანებულნი არიან პროფესიონალები, რომლებსაც ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველოს“ მხარდაჭერით, გავლილი აქვთ შესაბამისი ტრენინგები, როგორც საქართველოში ისე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში.



## სასწავლო ვიზიტები რუმინეთში, ბელორუსიაში, ჰოლანდიაში და მადრიდში

2013 წელს, ჩვენი გუნდის ექიმებმა, ხოლო 2014 წელს ექთნებმა, გაიარეს 2 კვირიანი ინტენსიური სასწავლო კურსი და სტაჟირება რუმინეთში, ქ. ბრასოვის ჰოსპისის „კასა სპერანტეში“.



ჰოსპისი რუმინეთში

2014 და 2015 წლებში შინ ზრუნვის გუნდის ექიმები სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ ჰოლანდიაში და ესპანეთში.

ჰოლანდიაში ვიზიტის დროს ექიმები გაეცნენ სამი წამყვანი ბავშვთა ჰოსპისის და შინ ზრუნვის სამსახურის მუშაობას, ასევე გაიარეს ინტენსიური კურსი ბავშვთა პალიატიური მზრუნველობაში.



სასწავლო ვიზიტი ჰოლანდიაში



ექთნების სასწავლო ვიზიტი მინსკის ბავშვთა ჰოსპისში

ესპანეთში, ქ. მადრიდში, ექიმებმა მოინახულეს ბავშვთა პალიატიური მზრუნველობის განყოფილება წმინდა ნინოს სახელობის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში და შეისწავლეს შინ ზრუნვის სამსახურის სპეციფიკა.

2016 წელს, ჩვენი ექთნები და კოორდინატორი სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ ბელორუსიაში, ქ. მინსკის ბავშვთა ჰოსპისში.

# პედიატრიული პალიატიური შინზრუნვის ეფექტურობა ამბულატორიული და ჰოსპიტალური დახმარების საჭიროების შემცირებაში



## შესავალი


პედიატრიული პალიატიური შინ ზრუნვა, ფონდი „ღია საზოგადოება საქართველოს“ მხარდაჭერით, თბილისში ფუნქციონირებს 2015 წლიდან და მისი მიზანია პალიატიური მზრუნველობის საჭიროების მქონე ბავშვთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, როგორც მათ სხეულზე, გონებასა და სულიერ მდგომარეობაზე აქტიური და ყოველმხრივი ზრუნვის, ისე მათი ოჯახის წევრების თანადგომისა და დახმარების გზით.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დახმარება ასეთი ოჯახებისათვის არის ნაკლები დროის გატარება სახლის გარეთ, ჰოსპიტალიზაციის გამო.

ჩვენი მიზანია პედიატრიული პალიატიური შინ ზრუნვის ეფექტურობის კვლევა. კერძოდ, თუ რა დადებითი გავლენა მოახდინა აღნიშნულმა ბავშვებზე და მათი ოჯახების წევრებზე.

## მეთოდოლოგია

კვლევის ფარგლებში შეიქმნა კითხვარი 15 პაციენტისთვის, რომლებიც 3 თვის განმავლობაში მონაწილეობენ ბავშვთა შინ ზრუნვის პროექტში. კითხვარის მიზანს წარმოადგენს შედარებითი სურათის მომზადება, თუ რამდენი ამბულატორიული ვიზიტი განხორციელდა და რამდენი დღე გაატარა ბავშვმა საავადმყოფოში შინ ზრუნვის პროექტში ჩართვამდე და რამდენჯერ ისარგებლა იგივე სერვისებით შინ ზრუნვის პერიოდში. მიღებული პასუხების ანალიზი მოხდა დამოკიდებული T-ტესტის მეშვეობით.




## კვლევის შედეგები

ამბულატორიული ვიზიტები: შინზრუნვის პროექტში ჩართვის შემდეგ ბავშვების ამბულატორიული ვიზიტების სიხშირე მნიშვნელოვნად შემცირდა ( $p=0.049$ ). შინზრუნვის პროექტში ჩართვის შემდეგ ბენეფიციარებმა საშუალოდ 1.4 ამბულატორიული ვიზიტი განახორციელეს, ხოლო ჩართვამდე იგივე ხანგძლივობის პერიოდში კი – 4.9.

ჰოსპიტალიზაციის სიხშირე: ჰოსპიტალიზაციის საჭიროების სიხშირე ასევე მნიშვნელოვნად შემცირდა პროექტის ფარგლებში. შინზრუნვის გუნდის მომსახურების პერიოდში, ბავშვებს საშუალოდ 0.5 ჰოსპიტალიზაცია დასჭირდათ, ხოლო ამ მომსახურებამდე 2.3 ( $p=0.024$ ).

ჰოსპიტალიზაციის ჯამური ხანგძლივობა: შინზრუნვაში ჩართვის შემდეგ 3-თვის განმავლობაში ბავშვებს დასჭირდათ საშუალოდ 2.1 დღის გატარება ჰოსპიტალში, ხოლო ჩართვამდე – 13.0 დღის ( $p=0.037$ ), რაც ასევე სტატისტიკურად მნიშვნელოვანი შემცირებაა.



## დასკვნა

შინზრუნვა პალიატიური მზრუნველობის განუყოფელი ნაწილია და ის ჰოსპისის აშენების შემდეგაც გაგრძელდება. ისევე როგორც მსოფლიო გამოცდილება, ჩვენი კვლევის შედეგებიც აჩვენებს, რომ ეს სერვისი გარკვეულ შევებას ანიჭებს მასში ჩართულ ბავშვებს და მათ ოჯახებს. ანალიზის მიხედვით პაციენტების ამბულატორიული ვიზიტების საჭიროება საგრძნობლად შემცირდა.

შინზრუნვის სამსახურის არსებობის შემდეგ, მნიშვნელოვნად შემცირდა ჰოსპიტალიზაციის სიხშირე და საავადმყოფოში გატარებული დღეების საერთო რაოდენობა. კვლევა აჩვენებს, რომ პედიატრიული პალიატიური შინზრუნვა ეფექტურია და ის მნიშვნელოვნად ამცირებს ჰოსპიტალური მომსახურების საჭიროებას. შინზრუნვის სამსახური საშუალებას აძლევს ბავშვებს, მეტი დრო გაატარონ ოჯახში და შეუმცირდეთ ჰოსპიტალური ვიზიტებისგან გამონეული სტრესი.

ყოველივე ზემოაღნიშნული, არის დადებითი ფაქტორი განუკურნებადი სენით დაავადებული ბავშვების და მათი ოჯახების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში.



## ვიზიტი ჰოლანდიის ჰოსპისებში



2015 წლის მაისში, ფონდი „ღია საზოგადოება საქართველოს“ ორგანიზებით 8 კაციანი ჯგუფი (საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი, ფონდი „ღია საზოგადოება საქართველოს“ და სამედიცინო კორპორაცია „ევექსის“ წარმომადგენლები, ჰოსპისის კოორდინატორი და პროექტის არქიტექტორი) სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა ჰოლანდიის ბავშვთა ჰოსპისებში.

ჰოსპისებში ვიზიტის დროს დეტალურად მოხდა ბავშვთა ჰოსპისის კონცეფციის და შენობების არქიტექტურის, თანხების მოძიების სტრატეგიის და შინ ზრუნვის სამსახურის სპეციფიკის გაცნობა. მიღებული გამოცდილება გამოყენებული იქნება თბილისის ბავშვთა ჰოსპისის მუშაობის პროცესში.

## პირველი ლედი ბავშვთა ჰოსპისისთვის

15-18 მაისს პირველმა ლედიმ - მაკა ჩიჩუამ ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ წარმომადგენლებთან ერთად ბერლინში, ბავშვთა ჰოსპისი „მზიური ბაღი“ და ლაიფციგის ჰოსპისი „დათვის გული“ მოინახულეს. ასევე, შეხვედრენ ბუნდესტაგის დეპუტატს დოქტორ ფეისტს, რომელიც ლაიფციგის ჰოსპისს დაარსების დღიდან კურიერებს და ეხმარება, როგორც ბუნდესტაგის ჯანდაცვის კომიტეტის წევრი.



ვიზიტის მიზანი იყო ბავშვთა ჰოსპისის მუშაობის სისტემის გაცნობა და გერმანული გამოცდილების გაზიარება.

“ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, იმ გამოცდილების გაზიარება, რომელიც გერმანელებს აქვთ. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ჩვენთან დაწყებული პროექტი მაქსიმალურად იყოს მიახლოებული ამ მოდელთან. ამ ბავშვებს ყველა მხარში უნდა ამოვუდგეთ. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მათ, ვინც საქართველოში ამ პროექტს საფუძველი ჩაუყარა“, - განაცხადა ჰოსპისი მონახულების შემდეგ საქართველოს პირველმა ლედიმ, მაკა ჩიჩუამ.

## ბავშვთა ჰოსპისის საძირკველის ჩაყრა



ნიკოლოზ გამყრელიძე, „ვევექსის“ გენერალური დირექტორი

10 ოქტომბერს, ჰოსპისისა და პალიატიური მზრუნველობის დღეს, საქართველოში ბავშვთა პირველი ჰოსპისის მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი. საძირკველის ჩაყრის ცერემონია ჰოსპისის მშენებლობის ადგილზე, სოფელ დილომში გაიმართა. საქართველოს პირველმა ლედიმ მაკა ჩიჩუამ, ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველოს“ დირექტორმა ქეთი ხუციშვილმა და სამედიცინო „კორპორაცია ვევექსის“ გენერალურმა დირექტორმა ნიკოლოზ გამყრელიძემ ჰოსპისის საძირკველში მემორიალური კაფესულა მოათავსეს.

საძირკველის ჩაყრის დღეს, პრეზიდენტის სასახლეში, საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა და პირველმა ლედიმ მაკა ჩიჩუამ საქართველოში ბავშვთა პირველი ჰოსპისის მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებული მიღება გამართეს. პრეზიდენტი შეეკრებოდა საზოგადოებას პროექტის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ესაუბრა. ღონისძიებას პროექტის დონორები და ელჩები ესწრებოდნენ.



## როგორ იმუშავებს თბილისის ბავშვთა ჰოსპისი

თბილისის ბავშვთა ჰოსპისი იქნება პირველი სახლი, სადაც ქრონიკული და უკურნებელი სენით დაავადებული ბავშვები (0-18 წელი) და მათი ოჯახები სრულიად უფასოდ პალიატიური მზრუნველობის მომსახურებას მიიღებენ.

ჰოსპისი სამი მიმართულებით იმუშავებს: 24 საათიანი სტაციონარული მომსახურება, ერთდროულად 12 ბავშვისა და მათი მშობლებისთვის; დღის ცენტრი, რომელიც დილიდან საღამომდე მოემსახურება 30 ბავშვს და მშობელს; შინ ზრუნვის სამსახური, რომელიც ბინაზე მოემსახურება ბავშვებს.

**ბავშვთა ჰოსპისში მომსახურება იქნება უფასო.**

### როგორი იქნება თბილისის ბავშვთა ჰოსპისის შენობა

შენობა შენდება სოფელ დილოში, აღმაშენებლის ხეივანიდან 200 მეტრში.

- სართულების რაოდენობა - 3 ;
- პალატები 24 საათიანი მომსახურებისთვის - 12 პალატა ;
- მიმღები;
- სამზარეულო;
- ოთახი მშობლებისთვის;
- დიდი ოთახი დღის ცენტრისთვის;
- ოთახი არტ ტერაპიისთვის და ფსიქოლოგის მომსახურებისთვის;
- ოთახი ექიმებისთვის, ექთნებისა და მომვლელებისთვის;
- საკონფერენციო ოთახი;
- სათამაშო ოთახი;
- ფიზიოთერაპიული მომსახურების ოთახი;
- აფთიაქი - წამლების შესანახი ადგილი. (ძლიერმომქმედი მედიკამენტები დაცული უნდა იყოს სპეციალურ სეიფში, ექიმის ან მთავარი ექტნის მიერ კონტროლირებად ადგილას);
- სამანიპულიაციო;
- სასტერილიზაციო;
- სამრეცხაო;
- სააბაზანოები;
- ოთახი გარდაცვლილი ბავშვისთვის;
- პოლისენსორული თერაპიული ოთახი- ე.წ სამყარო გამოცდილების ოთახი (Soezeling room) იხ. ფოტოები ქვემოთ.



## რა ეტაპზეა მშენებლობა



### შენობის მდგომარეობა

16 მაისი, 2016

2 სართული ამოყვანილია, მიმდინარეობს მესამე სართულის დასასხმელი სამუშაოები

### შენობა დასრულების შემდეგ

სამი სართული ტერასული ეზოთი

პროექტის დასრულება 2016 წლის შემოდგომაზე იგეგმება



## ვისი დახმარებით იქმნება ჰოსპისი – დონორები



ბავშვთა ჰოსპისის მშენებლობა ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველოს“ ინიციატივით და სამედიცინო კორპორაცია „ევექსის“ და საქართველოს პრეზიდენტის დახმარებით დაიწყო. სრულიად უანგაროდ მოხდა შენობის არქიტექტურული პროექტის და დიზაინის მომზადება ერთ-ერთი ნამყვანი არქიტექტორის მიერ. მშენებლობის დაწყების შემდეგ პროცესში ჩაერთო ბიზნეს სექტორის დიდი ნაწილი და მოქალაქეები. შემომწირველების ნაწილი პროექტს ფინანსურად ეხმარება, ნაწილი კი სამშენებლო და სხვა სახის მასალებით უწევს დახმარებას. ზოგიერთი დონორი საკუთარ თავზე იღებს კონკრეტული ოთახების მოწყობას ან ინვენტარის შექმნას.

ჰოსპისს შესაძლოა ჰყავდეს როგორც ერთჯერადი დონორი კონკრეტული საქმიანობის განსახორციელებლად, ასევე მუდმივი დონორები, რომლებიც გააგრძელებენ ფინანსურ დახმარებას ჰოსპისის გახნის შემდგომაც, რადგან ჰოსპისი დაფინანსების ძირითადი წყარო შემომწირულობები იქნება. იმ შემთხვევაში, თუ დონორი ირჩევს კონკრეტული საქმიანობის დაფინანსებას, მაგალითად კონკრეტული ოთახის სრულად მოწყობას, ოთახს შესაძლოა დაერქვას მისი (დონორის) სახელი. ეს პრაქტიკა გავრცელებულია ევროპის ჰოსპისებში.

პროექტის ღირებულება დაახლოებით 1 მილიონი ლარია.

### ჰოსპისის მეგობრები/დონორები

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი, სამედიცინო კორპორაცია „ევექსი“, ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო“, გიორგი ჭყონია და რუსო ლაშხი, აჭარა ბიზნეს ჯგუფი, თემურ უგულავა, მიხო სვიმონიშვილი, გიორგი რამიშვილი; შპს „დიო“, „ჰაიდელბერგცემენტი“, საერთაშორისო ფონდი „კურაციო“-ს თანამშრომლები, გიორგი გოცაძე, ქეთი ჩხატარაშვილი, თამაზ სომხიშვილი, ელენა ვასილევცი, ხოფიზ შახიდი, არმენ მატევოსიანი, არჩილ გაჩეჩილაძე, დავით ვახტანგიშვილი, ავთანდილ ნამიჩიშვილი, ირაკლი ბურდილაძე, გიორგი ჭილაძე, ვასილ ხოდელი, ვაკო ავალიანი, „ლვინაძე და პარტნიორები“, გაგა მარგველაშვილი, გიორგი რამიშვილი, გია ჯოხთაბერიძე, ერეკლე ნათაძე, ხატია ჯინჯინაძე, სს „თელასი“, ანი ახალკაცი, ანა ტოკლიკიშვილი, IDS ბორჯომი საქართველო, თამარ ნეფარიძე, კონსტანტინე მათითაშვილი, ქეთი თუთბერიძე, დავით გზირიშვილი, შპს „ევრაზია ტრანსი“, შპს „ჯეოსტილი“, ირაკლი რუხაძე და მისი მეგობრები.

**განსაკუთრებული მადლობა:** მერი ქელოვეის, ჯოან მარტსონს, ქეთი ხუციშვილს, ნიკოლოზ გამყრელიძეს, ნინო ჩიჩუას, გიორგი აბაშიშვილს, სოფო შამანიდს, გიორგი ყურულს, ვანიკო ბოკერიას.

**მხატვრები:** მაკა ბატიაშვილი, თამუნა შიუკაშვილი, ანტონ ბალანჩივაძე, ნინო ჩაკვეტაძე, პაპუნა პაპასკირი, ტატო ახალკაციშვილი, თუთუ კილაძე, მამუკა გოგრიჭიანი, ნინო კალანდია

## სხვადასხვა ღონისძიებები დონორებისგან

კომპანია „დიო“-მ 20 წლის იუბილე ბავშვთა ჰოსპისის მიუძღვნა და ჰოსპისის საჩუქრად მაღალი ხარისხის კარ-ფანჯარა, ტენტები და ფარდა-ჟალუზები გადასცა.



კომპანია „დიო“-ს დირექტორი თამაზ დაოშვილი და ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველოს“ დირექტორი ქეთი ხუციშვილი



*ჰოსპისის მეგობრის, ირაკლი რუხაძის 50 წლის იუბილე ბავშვთა ჰოსპისისთვის*

„თუ ჩემი დაბადების დღის საჩუქარზე ფიქრობთ, გეტყვი, რომ ჩემთვის საუკეთესო საჩუქარი იქნება საქართველოში პირველი ბავშვთა ჰოსპისის მშენებლობისთვის შემოწირულობის გაღება!“ - ამ შინაარსის მოსაწვევი ირაკლი რუხაძის 150-მდე სტუმარმა მიიღო, რომელთა დახმარებითაც ბავშვთა ჰოსპისისთვის საკმაოდ სოლიდური თანხის მობილიზება მოხდა. მიღებული თანხა ჰოსპისის მშენებლობას მოხმარდება.



კომპანია „ჰაიდელბერგცემენტი“ წელს უკვე მეხუთედ გეგმავს სოციალური პროექტის „თბილისიმარათონის“ ჩატარებას. აღნიშნული სოციალური პროექტი ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდასა და ქველმოქმედებას ემსახურება. „თბილისიმარათონი“ გერმანიის საელჩოს, თბილისის მერიისა და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს პატრონაჟით ტარდება. მონაწილეთა შორის არიან უცხოელი სტუმრები 30-ზე მეტი ქვეყნიდან, დიპლომატიური კორპუსი, ასევე სამთავრობო და ბიზნეს სექტორი. „თბილისიმარათონის“ რეგისტრაციიდან შემოსული თანხა კომპანია „ჰაიდელბერგცემენტის“ მიერ გაორმაგდება და ჩვენს ბავშვთა ჰოსპისს მშენებლობას მოხმარდება. 2016 წლის „თბილისიმარათონის“ რეგისტრაცია გახსნილია.

დარეგისტრირდით: [www.tbilisimarathon.ge](http://www.tbilisimarathon.ge)

დღეისათვის (1.06.2016) ანგარიშზე შემოსულია 600 000 ლარამდე

## ანგარიშის ჩაბარება დამფინანსებლებისთვის

თითოეული დონორი სისტემატიურად იღებს ანგარიშს, თუ რა სახის სამუშაოები ხორციელდება მიმდინარე ეტაპზე. ანგარიშები იგზავნება ელ.ფოსტის, დედნის გაგზავნის ან სატელეფონო შეტყობინებების მეშვეობით. პროექტის დამფინანსებლები მონაწილეობენ ყველა ღონისძიებაში, რაც ჰოსპისთან დაკავშირებით იმართება. პროექტის ყველა დონორი მონაწილეობას მიიღებს ბავშვთა ჰოსპისის საზეიმო გახსნაში.

სიახლეები მუდმივად ქვეყნდება ჰოსპისის ვებ და FB გვერდზე.

მოიწონეთ ჩვენი FB გვერდი და გვემეგობრეთ: - შინ ზრუნვა პალიატიური მზრუნველობის ბავშვებისთვის.

ვებ გვერდი: [www.childrenshospice.org.ge](http://www.childrenshospice.org.ge)

## რა სახის დახმარებაა საჭირო

მშენებლობისთვის საჭირო თანხის დიდი ნაწილი უკვე მობილიზებულია. მშენებლობის დასრულებისთვის საჭიროა დაახლოებით 210 000 ლარი. ჰოსპისის შინაარსიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ჰოსპისის შიდა მოწყობა, ეზო, ინვენტარი, ავეჯი და აპარატურა, რაც ამ პროექტის საკმაოდ ძვირადღირებული ნაწილია.

ამ ეტაპზე, მიმდინარეობს თანხის მოძიება შენობის გარე მოპირკეთებისთვის და აღჭურვისთვის. ასევე თანხა საჭიროა სპეციალური მულტისენსორული თერაპიული ოთახის - ე.წ სამყაროს შეცნობის ოთახის მოსაწყობად, რომელსაც თერაპიული, დამამშვიდებელი, შემეცნებითი და დეტოქსიკაციური დანიშნულება აქვს.

ოთახის მოწყობის ბიუჯეტი 15 000 დან 18 000 ევრომდეა. ოთახის შემადგენლობაში შედის:

**მუსიკალური ჰიდრო სანოლი** - სანოლის ლეიბი წარმოდგენილია ტომარით, რომელიც უზრუნველყოფს ინტენსიური ტალღების ეფექტს. ჰიდრო სანოლი აღჭურვილია ელექტრო გამათბობლით, თავისი თერმოსტატიტ, რომელიც უზრუნველყოფს წყლის 28 გრადუსიან ტემპერატურას.

სანოლში დამონტაჟებულია CD-player რადიოთი.

სანოლი უზრუნველყოფს სხვადასხვა მოძრაობის შესრულებას, ქმნის რწვეის ეფექტს, უზრუნველყოფს მთელი სხეულით სხვადასხვა ხმოვანი ეფექტების შეგრძნებას. ჰიდრო სანოლი არის წონასწორობის მასტიმულირებელი ელემენტი, იძლევა საკუთარი სხეულით სიმძიმის შეცნობის საშუალებას. რწვევა ეხმარება კუნთების სახსრების განმუხტვას, ამშვიდებს სხეულს. იდეალურია ბავშვების ქიმიოთერაპიის შემდეგ. ჰიდრო სანოლი ასევე გამოიყენება ზღვის თერაპიის გაკვეთილებში, შეუძლია შტორმის, ჭექა-ქუხილის და ცურვის ეფექტის შექმნა.

**წყლის და სინათლის ფარდა** (ფოტოში არის ლეიბთან)

ეს არის ფერადი, ჭერზე ან კედელზე მიმაგრებული მოწყობილობა. ის გამოიყენება, როგორც მანათობელი კედელი და გამოყოფილია ოთახის სხვა ელემენტებისგან. შესაძლებელია მისი განთავსება ჰიდრო სანოლის წინ, რაც შესაძლებელს ხდის იზოლაციის ეფექტის და ავადდროულად მთელი ოთახის სივრცის ხილვადობას.

ფარდა გამოიყენება მხედველობის სტიმულაციისთვის. ის აუმჯობესებს შეხების შეგრძნებას.





პირველი ლედი მაკა ჩიჩუა გერმანიის ბავშვთა ჰოსპისში



**წყლის სვეტი ბუშტუკებით** - Bubble Tube წყლის სვეტი მოთავსებულია სპეციალურ უსაფრთხო რეზერვუარში.

მოწყობილობა იძლევა ფერების ცვლილების საშუალებას, ასევე შესაძლებელია ბუშტუკების ნაკადის ტემპისა და რაოდენობის ცვლილება ხმის, პილტის ან შესხების საშუალებით. შესაძლებელია ბევრი ფერის (ესპანეთის ჰოსპისში 16 ფერიანი იყო) და მათი ხანგრძლივობის, ნათების დონის შეცვლა, დაპაუზება, ბუშტუკების სხვადასხვა ნაკადის არჩევა.

წყლის სვეტი იძლევა სასიამოვნო მხედველობით და მგრძნობელობით განცდას. მის ქვედა ნაწილში გამოიყოფა ჟანგბადი, რაც წარმოქმნის ბუშტუკებს, რომლებიც წელი ტემპით, სხვადასხვა ფერის თანხლებით მიემართებიან ზევით. სპეციალურ ინტერაქტიულ დაფაზე მოთავსებული ლილაკებით, ბავშვი ირჩევს მისთვის სასურველ ფერს.

მოწყობილობა ასტიმულირებს მხედველობას, ქმნის მშვიდ გარემოს. ასევე შეგრძნებების საუკეთესო სტიმულატორია. ბავშვს შეუძლია შემოეხვიოს მას მთელი სხეულით.

**სხვადასხვა ზომის გიმნასტიკური ბურთები**

შეიძლება მათზე ჯდომა, პირალმა/პირდალმა წოლა, გვერდით მიყუდება, ხტუნვა. ბურთებით ვარჯიში ახდენს სტაბილიზაციას, კუნთების პროგრესულ ანგაჟირებას და ააქტიურებს პოსტურალურ კუნთებს. ასევე მაღალი ეფექტურობით სარგებლობს ცერებრალური დამბლის მქონე ბავშვებში.

## ინტერაქციული ბურთების აუზი/ჯაკუზი



ინტერაქციული LED ბურთების აუზი განათებულია ძალიან ნათელი, დაბალი ვოლტაჟის LED ნათურებით, რომლებსაც ნათურების შეცვლა არასოდეს ჭირდება. ჩართულ მდგომარეობაში განათება მუდამ ცვალებადია და მოიცავს რვა სხვადასხვა ფერს. განათების

შესაცვლელად საჭიროა დავაჭიროთ კედელზე არსებულ შესაბამისი ფერის გადამრთველს. აუზი დამზადებულია ძლიერი, ადვილად გასაწმენდი მასალისგან რომელიც არ შეიცავს დამეთილფთალატს. ბურთები იყიდება ცალკე, გამომდინარე აუზის მოცულობიდან (საშუალო ან დიდი მოცულობის აუზისთვის).

ფასი იწყება: - \$4,449.76-იდან

## სანოლები

გვჭირდება 12 სპეციალიზირებული სანოლი, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს ხის. ჯამში სანოლებისთვის საჭიროა დაახლოებით 10 000 დოლარი.



## ფინანსური დახმარება

ფინანსური დახმარება შესაძლებელია ააიპ “ზავშეთა ჰოსპისის” ანგარიშის მეშვეობით.

ააიპ “ზავშეთა ჰოსპისის” საქართველოს ბანკი:  
GE31BG000000368074900 GEL/USD/EUR.

ასევე ვებ გვერდიდან: [www.childrenshospice.org.ge](http://www.childrenshospice.org.ge)

